

71
943

უზანსო
საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აფარსი

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო მომსახურების ბრძა-
ნებათა და განკარგულებათა

პრეზული

წელიწადი 1943

№ 8	Сборник приказов и распоряжений НКПроса Груз. ССР	1943 წ.
-----	--	---------

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 2132—1942-43 სასწავ. წ. საშუა-
ლო სკოლის მე-10 კლასების წერიითი გამოც-
დების შედეგების შესახებ ქართულ ლიტერა-
ტურაში 2
2. ბრძანება № 2237—1942-43 სასწავ. წ. საშუა-
ლო სკოლის მე-10 კლასების წერიითი გამოც-
დების შედეგების შესახებ ალგებრაში 9
3. ბრძანება № 1005—ხულოს და სოხუმის პედა-
გოგიური სასწავლებლების(გამოკვლევის შედე-
გების შესახებ 13



საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წლ. 30 ივლისი

1942/43 სასწავლო წელში საშუალო სკოლის მე-10 კლასების წერიით გამოცდების შედეგების შესახებ ქართულ ლიტერატურაში

გავეცანი რა საქართველოს სსრ საშუალო სკოლების 1942-43 სასწავლო წელში მე-10 კლასების საგამოცდო წერიითი ნამუშევრების ანალიზს ქართულ ლიტერატურაში, აღენიშნავ, რომ გასულ წელთან შედარებით რიგ სკოლებში ქართული ლიტერატურის სწავლების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული: წერით ნამუშევრებში გამომუშავებულია მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, წერიითი მეტყველების მაღალი კულტურა, კრიტიკულ-შემოქმედებითი, ინდივიდუალური—კვლევითი უნარი. მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი წერით საგამოცდო თემებს სძლეეს ლიტერატურული მოვლენების სწორი ანალიზისა და აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით ჩამოყალიბების გზით, ამასთანავე გამომუშავებული აქვთ ფაქტიური მასალების ცოდნის საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანის ცოდნა-ჩვევა და სხვ.

ამ შრივ აქსანიშნავია: ქ. მახარაძის, ოკუტრჩხეთის, ბარდუბნის, გეგუთის (ქუთაისის რაიონი), ქ. ცხაკაიას მეორე, ქ. სიღნაღის, ქ. გორის და სხვ. საშუალო სკოლების მოსწავლეთა წერიითი ნამუშევრები.

მიუხედავად ამ მიღწევებისა ზოგიერთი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეთა წერიითი ნამუშევრები შეიცავენ სერიოზულ ნაკლოვანებებს:

1. ზოგიერთი სკოლის მოსწავლეები წერიითი თემის დამუშავების დროს ვერ ამკლავებენ მოცემულ თემისათვის პროგრამით გათვალისწინებული მხატვრული ნაწარმოების საფუძვლიან ცოდნას, არ შესწევთ უნარი მწერლის შემოქმედებიდან გამოარჩიონ მწერლისათვის დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი ტიპური მოვლენები და გამოიტანონ ლოგიკური დასკვნები სამტრედიის პირველი და მეორე, ხოვლის, სასირეთის, წითელ-ქალაქის (კასპის რაიონი), ნორიოს გლდანის (თბილისის რაიონი), მალაკის (წყალტუბოს რაიონი), გორდის, წულუკიძის (წულუკიძის რაიონი), ნიჩბისის (მცხეთის რაიონი) და სხვა საშუალო სკოლები;

2. ზოგიერთ შემთხვევაში მწერლის შემოქმედების მოტივები განსაზღვრას მოსწავლეები ახდენენ კონკრეტულ მასალის გვერდის ავლით, კრიტიკული წერილებიდან ამოგლეჯილ, ხშირად დამახინჯებულად მოტანილი ფრაზების საშუალებით და ლიტერატურული ფაქტების სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ: გუმბრინის, გორდის, მუხიანის საშუალო სკოლები (წყალტუბოს რაიონი), გლდანის, წყნეთის, მარტყოფის საშუალო სკოლები (თბილისის რაიონი), ხოვლეს, სასირეთის საშუალო სკოლები (კასპის რაიონი) და სხვ.

3. ზოგიერთი საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ თემა არ არის გაგებული: ჯუგაანის, ანაგის საშუალო სკოლებში (სიღნაღის რაიონი), მალლაკის საშუალო სკოლაში (წყალტუბოს რაიონი), წყნეთის საშუალო სკოლაში (თბილისის რაიონი) და სხვ.

4. ხშირ შემთხვევაში წერით ნამუშევრებში არ მქლავდება მოსწავლეთა დამოუკიდებელი წერის ჩვევა; წერითი ნამუშევრები სიტყვა-სიტყვით ერთმანეთისაგანაა გადაწერილი და მასწავლებელი ამ მდგომარეობას არ აქცევს ყურადღებას. მაგალითად, ცხაკაიას I საშუალო სკოლაში 28 მოსწავლიდან 13 მოსწავლეს თემა ერთიმეორისაგან გადაუწერია, წულუკიძის I სკოლის 39 მოსწავლეს თემა ერთიმეორისაგან გადაუწერია, გორდის საშუალო სკოლის (წულუკიძის რაიონი) 17 მოსწავლიდან 13 მოსწავლეს თემა ერთიმეორისაგან გადაუწერია, მალლაკის საშუალო სკოლაში 16 მოსწავლეს თემა ერთიმეორისაგან გადაუწერია, ცხაკაიას მესამე საშუალო სკოლის 13 მოსწავლეს თემა-ერთიმეორისაგან გადაუწერია. მსგავსი მდგომარეობაა ქ. ფოთის I და II, ობუჯის, ლიის, ხარაგაულის I, ცაგერის და სხვა საშუალო სკოლებში;

5. ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულია უხეში ფაქტიური და ლოგიკური შეცდომები, მაგალითად, მოსწ. ი. ლ. წერს: „საქართველოს პატრიოტიზმი, როგორც ერთ-ერთი დიდი მამოძრავებელი ძალა, წარმოშობილია ჩვენი სოციალისტური ქვეყნის საბჭოთა საქართველოს განმტკიცების შედეგად“ (სასირეთის საშუალო სკოლა—კასპის რაიონი), „ქართულ ლიტერატურის განვითარებასთან წარმოიშვა ქართული ხალხის გმირობაც“ (მოსწ. მ. ბ. ანაგის საშუალო სკოლა—სიღნაღის რაიონი), „საზიზღარ გერმანიას სურდა, რომ გადმოეღახა ჩვენი ქვეყნის წმინდა-თაწმინდა ქართული მწერლობის შემოქმედობა“ (მოსწ. ნ. ჯ. ჯუგაანის საშ. სკოლა—სიღნაღის რაიონი); მსგავსი მდგომარეობაა ნუკრიანის: გლდანის (თბილისის რაიონი) ქ. სამტრედიის I და II, გალანის (მცხეთი რაიონი), წულუკიძის პირველ, გორდის (წულუკიძის რაიონი), ჯვარის, ლიის (წალენჯიხის რაიონი) და სხვა საშუალო სკოლებში,

6. ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების დაშვებას და მახასიათებელია სტილისტიკური, ორმოგვარაფიული, პუნქტუაციური და სხვა სახის შეცდომები:

ა) უხეში სტილისტიკური შეცდომებია დაშვებული გლდანის (თბილისის რაიონი), გუმბრინის (წყალტუბოს რაიონი), ნუკრიანის (სიღნაღის რაიონი), ობუჯის, ლიის, ჯვარის (წალენჯიხის რაიონი) და სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში;

ბ) მოსწავლეთა საგარძნობი ნაწილი არ არის დაუფლებული კომპოზიტების სწორად დაწერას. ასე მაგალითად, უდფეიზოდ არ არის დაწერილი ერთცნებიანი სიტყვები, მაშინ, როდესაც პირველი წევრი ფუძის სახით არის წარმოდგენილი — წულუკიძის I, გორდის (წულუკიძის რაიონი), ხოვლეს, სასირეთის (კასპის რაიონი) საშუალო სკოლებში; დეფიზით არის დაწერილი „წინდახედული“, „პატივისცემა“, „ერთადერთი“, „ხავსმოკიდებული“ და სხვ. წყნეთის, მარტყოფის, ნორიოს, ავჭალის (თბილისის რაიონი), სამტრედიის პირველი, ცხაკაიას პირველი, ნუკრიანის (სიღნაღის რაიონი) გალაგანის (მცხეთის რაიონი), ჯუგაანის (სიღნაღის რაიონი) და სხვა საშუალო სკოლები;

გ) ია-ზე დაბლოგებულ სახელებს ნათესაობით ბრუნვაში ორიონის ნაცვლად ერთ ი-სს უწერენ. მაგალითად „კავკასი“-ს, „რეაქციის“, „პარტის“, „გერმანის“, „რევოლუციის“ და სხვ. მალლაკის, მუხიანის საშუალო სკოლები (წყალტუბოს რაიონი), მარტყოფის გლდანის, წყნეთის საშუალო სკოლები (თბილისის რაიონი), სამტრედიის მეორე, ცხაკაიას, გორდის (წყალტუბოს რაიონი), ბოსლევის (ზესტაფონის რაიონი) და სხვ. საშუალო სკოლები;

დ) ზოგიერთი სკოლის მოსწავლეები ცუდად არიან დაუფლებულნი უცხო სიტყვების სწორად წერას. ხშირ შემთხვევაში უცხო სიტყვები სრულიად უადგილოდ არის წინადადებაში ჩართული და უმეტეს შემთხვევაში დამახინჯებული სახით, გაუაზრებლად არის ხმარებული. მაგალითად, „პატრიოდი“, „რიალისტი“, „ამილოგია“, „რევოლიცია“, „იდიალი“, „პლიადა“, „ეპისოდი“ და სხვ. ჯუგაანის საშუალო სკოლა (სიღნაღის რაიონი), წყნეთის, ავჭალის საშუალო სკოლები (მცხეთის რაიონი) და სხვ.

ე) სასვენი ნიშნების სწორად ხმარების უცოდინარობას იჩვენებენ გორდის, გლდანის, გალაგანის, წითელ-ქალაქის, ნორიოს, სასირეთის, ანავის, ჯუგაანის, ცხაკაიას, სამტრედიის, მალლაკის, ზესტაფონის, ბოსლევის, ქვედა-საზანოს, მცხეთის, ობუჯის, ლიის, ჯვარის, ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეები, მათ არ შესწევთ უნარი

მძიმის, ორწერტილის, წერტილ-მძიმის, ბრწყალების სწორად წმარებისა და სხვ.

7. ზოგიერთი სკოლის მასწავლებელი არაკეთილსინდისიერად ეკიდება მოსწავლეთა წერითი სამუშაოების გასწორებისა და შეფასების საქმეს:

ა) გაუსწორებლად სტოვებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ უხემ ორთოგრაფიულ, სტილისტიკურსა და ფაქტიურ შეცდომებს. ასე მაგალითად, მარტყოფის ს.შ. სკოლის მოსწ. ც. თ-ს წერით ნამუშევარში გაუსწორებელია 36 შეცდომა, ლ. ს-ს წერით ნამუშევარი გაუსწორებელია 49 სხვადასხვა შეცდომა, ანავის საშუალო სკოლის მოსწ. თ. მ-ს წერით ნამუშევარში გაუსწორებელია 56 სხვადასხვა სახის შეცდომა და სხვ. ასეთივე მდგომარეობაა წულუკიძის I, გორდის, ვალანის, ნიჩბისის, ავქალის, წყნეთის, გუმბრინის, მალლაკის, ობუჯის, ლიის, ჯვარის, ნორიოზ, ჯუგანის, ანავის, ბოსლევის, ქვედა საზანოს საშუალო სკოლებში;

ბ) ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეთა წერით ნამუშევარს არაობიექტურად აფასებს. ასე მაგალითად, მალლაკის საშუალო სკოლის 29 წერით ნამუშევრიდან მასწავლებლის მიერ „ფრიაღზე“ შეფასებულია—3, „კარგზე“—10, „საშუალოზე“—12, „ცუღზე“—4; ფაქტიურად (რეცენზიის შედეგად) კი 29 წერითი ნამუშევრიდან „ფრიაღზე“, „კარგზე“ და „საშუალოზე“ არცერთი წერითი ნამუშევარი არ არის შეფასებული, ხოლო „ცუღზე“ შეფასებულია—25, „ძლიერ ცუღზე“—4; გლდანის საშუალო სკოლის 8 მოსწავლის წერითი ნამუშევრიდან მასწავლებლის მიერ „ფრიაღზე“ შეფასებულია 1, „კარგზე“—4, „საშუალოზე“—3. ფაქტიურად კი „ფრიაღზე“ და „კარგზე“ არცერთი წერითი ნამუშევარი არ არის შესრულებული. რეცენზიის შედეგად „საშუალოზე“ შეფასებულია—1, „ცუღზე“—7; წყნეთის საშუალო სკოლის 5 მოსწავლის წერითი ნამუშევრიდან მასწავლებლის მიერ „ფრიაღზე“ შეფასებულია—1, „კარგზე“—2, „საშუალოზე“—3, ფაქტიურად „საშუალოზე“—შეფასებულია—1, „ცუღზე“—2, „ძლიერ ცუღზე“—2; ნუკრიანის საშუალო სკოლის 17 წერითი ნამუშევრიდან მასწავლებლის მიერ „ფრიაღზე“ შეფასებულია—1, „კარგზე“—6, „ცუღზე“—4. რეცენზიის შედეგად „ფრიაღზე“ და „კარგზე“ არცერთი წერითი ნამუშევარი არ არის შეფასებული, ხოლო „საშუალოზე“—6, „ცუღზე“—8, „ძლიერ ცუღზე“—3; გორდის საშუალო სკოლის 17 წერითი ნამუშევრიდან „ცუღზე“ შეფასებულია—16, ძლიერ ცუღზე“—1; წულუკიძის I საშუალო სკოლის 29 წერითი ნამუშევრიდან „საშუალოზე“ შეფასებულია—2, „ცუღზე“—24, ძლიერ ცუღზე“—3; მსგავსი მდგომარეობაა ბოსლევის, ქვედა-საზანოს, გლდანის, ნიჩბისის, ვალანის,



გუმბრინის, მუხიანის, წყალტუბოს, ხოვლეს, მარტყოფის, ობუჯეთის, ოპოტის, ჯვარის და სხვა საშუალო სკოლებში.

ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი და მასწავლებელი სწორად არ ატარებდა საქართველოს სსრ განსახკომის მითითებებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების, მოსწავლეთა მეტყველების კულტურის აღზრდისა და წერიითი სამუშაოების ჩატარების შესახებ; არ იმალდებდა კვალიფიკაციას, არ ზრუნავდა მოსწავლეებში დამოუკიდებელი წერიტი ჩვევების გამომუშავებისათვის, სასწავლო წლის მანძილზე წესიერად არ ატარებდა წერიითი სამუშაოებს, არ ასწორებდა მათ გულდასმით და სათანადოდ არ ზრუნავდა მოსწავლეთა წერიტი კულტურის ამაღლებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საშუალო სკოლის მე-10 კლასის ქართულ ლიტერატურაში წლიური საგამოცდო წერიტი თემების მოსწავლეთა მიერ არაადამაკმაყოფილებლად დაწერის გამო, ამასთანავე წერიტი ნამუშევრებში მოსწავლეთა მიერ დაშვებულ ფაქტიურ, ლოდიკურ, სტილისტიკურ, ფართოვრაფიულ და პუნქტუაციური შეცდომების გაუსწორებლობისა და არასწორად შეფასებისათვის 1943 წლის 20 აგვისტოდან ჩამოყენებულ იქნენ არასრულ საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებლებად:

- ა) ქ. ცხაკაიას I საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის დაწ. თ. კალანდარიანი;
- ბ) ჯუგაიანის (სიღნაღის რ.) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი ფ. ნარინდოშვილი;
- გ) ანავის (სიღნაღის რ.) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი ა. თანდაშვილი;
- დ) ხოვლეს (კასპის რ.) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი თ. გოგიაშვილი;
- ე) მარტყოფის (თბილისი რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი მ. ჯეირანიანი;
- ვ) წყნეთის (თბილისის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი ნ. სარჩიშვილი;

2. სკოლაში ქართული ლიტერატურის სწავლებაზე არაადამაკმაყოფილებელი კონტროლის და ხელშეწყობისათვის გამოეცხადოს საყვედური:

- ა) ქ. ცხაკაიას I საშუალო სკოლის დირექტორის მეთვალყურის აღმსრულებელს ვლ. დავითიას;



- ბ) ჯუგაანის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ზურიაშვილს;
- გ) ხოვლეს საშუალო სკოლის დირექტორს ლ. გურგენიძეს;
- დ) მარტყოფის საშუალო სკოლის დირექტორს ქ. ხანდოლიშვილს;

ე) წყნეთის საშუალო სკოლის დირექტორს ო. სვანიძეს;

3. საშუალო სკოლის მე-10 კლასის ქართულ ლიტერატურაში წლიური საგამოცდო წერიითი ნამუშევრების არააღმკამყოფილებლად გასწორებისა და ლიბერალური შეფასებისათვის გამოეცხადოს საყვედური და მიეცეს გაფრთხილება:

ა) გლდანის (თბილისის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელს ა. მესხს;

ბ) გუმბრინის (წყალტუბოს რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელს შ. ბოჭორიშვილს;

გ) მაღლაკის (წყალტუბოს რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელს კ. ჟორჯოლიანს;

დ) სასირეთის (კასპის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელს ს. ლორთქიფანიძეს;

ე) გორდის (წულუკიძის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწ. თ. კინწურაშვილს;

ვ) წულუკიძის I საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელს ბ. წვერაგას;

გ) წყალტუბოს საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელს ქ. ბალანჩივაძეს.

4. აღინიშნოს ავჭალის საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწ. ს. ბერძენიშვილის, გაღავნის საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწ. თ. ტასოევას, ნიჩბისის საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწ. ელ. კალანდაძის მიერ მე-10 კლასის მოსწავლეთა წლიური საგამოცდო წერიითი ნამუშევრების არასწორი გასწორებისა და არაობიექტური შეფასების შემთხვევები;

5. აღინიშნოს გლდანის (დირექტორი - გ. კვაჭაძე) გორდის (დირექტორი - ა. კალანდარაშვილი), ავჭალის (დირექტორი - ვ. სამსონია), ნიჩბისის (დირექტორი - ივ. დოლიძე), გაღავნისა (დირექტორი შ. ჩიკვაძე), ობუჯის (დირექტორი - ა. სონგულია), ჯვარის (დირექტორი - ა. ცხადაია), ცხაკაიას მე-3 (დირექტორი - დ. კვაშილაკა), წყალტუბოს (დირექტორი - ოთარ მხეიძე), გუმბრინის (დირექტორი - ი. ნოსელიძე), სასირეთის (დირექტორი თ. მუჯანაძე), ბოსლევის (დირექტორი ზ. მაჩიტაძე), ქვედა-საზანოს (დირექტორი - გრ. კვიციანიძე) და წულუკიძის I (დირექტორი - გ. კვანტალიანი) საშუალო სკოლაში ქართული ლიტერატურის წლიური საგამოცდო წერიითი



ნამუშევრების გასწორებაზე და შეფასებაზე საშუალო სკოლის დირექტორებისა და სასწ. ნაწილის გამგეების არასაკმაო ხელმძღვანელობა და კონტროლი;

6. ნორიოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სარა მამნიაშვილი, რომელმაც ვერ შესძლო მე-10 კლასის მოსწავლეთა წერთი საგამოცდო ნამუშევრების მართებულად გასწორება და შეფასება, ამისთანავე განათლების სახალხო კომისარიატისადმი დაწერილ განცხადებაში დაუშვა 38 სხვადასხვა სახის უხეში შეცდომა, მორჩნას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თანამდებობიდან ა/წ 20 აგვისტოდან.

დაევალოს საქ. სსრ განსახკომის უმაღლეს სკოლის სამმართველოს შეამოწმოს სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების მიერ სარა მამნიაშვილზე გაცემული დიპლომის სისწორე და შედეგები მომახსენოს ა/წლის 15 აგვისტომდე;

7. დაევალოს წულუკიძის, სიღნაღის, ცხაკაიას, სამტრედიის, წყალტუბოს, კასპის, წალენჯიხის, ფოთის, თბილისის, ზესტაფონის, მცხეთის და ორჯონიკიძის რაიონების სახალხო განათლების განყოფილების გამგეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ანაგის, ნუკრიანის, ცხაკაიას პირველ და მესამე, ხოვლეს, მარტყოფის, ნორიოს, წყნეთის, გლდანის, ხარაგაულის, გუბრინის, მალაკის, ქვედა-საზანოს, ბოსლევის, სასირეთის, წითელ-ქალაქის, წყალტუბოს, ავქალის, წულუკიძის, გორდის, ჯუგანის, ობუჯის, ლიის, ჯვარის საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას, სისტემატურად გაუწიონ ხელმძღვანელობა და კონტროლი საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წ. 1 ნოემბრის დადგენილების — „მშობლური ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ სამომულო ომის პირობებში“ — ზუსტად განხორციელებას და უზრუნველყონ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა;

8. ეს ბრძანება განხილულ იქნეს საქართველოს სსრ-ის ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახულ იქნეს პრაქტიკული ღონისძიებანი 1943/44 სასწავლო წლისათვის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1943 წლის 27 ივლისის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახალხო
კომისრის მოადგილე მ. ბურჭულაძე



განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წ. 5 აგვისტო

1942-43 სასწავლო წელში საშუალო სკოლების მე-10 კლასების წერიტი გამოცდებზე შედეგების შესახებ ალგებრაში

გავეცანი რა საქართველოს სსრ საშუალო სკოლების 1942-43 სასწავლო წელში მე-10 კლასების წერიტი ნამუშევრების ანალიზს ალგებრაში, აღვნიშნავ, რომ ალგებრის სწავლების საქმეში თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული: მოსწავლეთა დიდი ნაწილის მიერ ამოცანის პირობების მიხედვით შესაბამისი განტოლება სწორად არის შედგენილი, განტოლების ამოხსნისას გამოყენებულია ამოხსნის რაციონალური ხერხი, მოხდენილია მიღებული ფესვების შემოწმება ამოცანის პირობების მიხედვით, წარმოებულია ფესვების ანალიზი, მოცემულია მაგალითების ამოხსნის მსვლელობის სრული განმარტებანი, დაცულია მათემატიკური ტერმინები და საჭირო სიზუსტე და სისუფთავე. წერიტი ნამუშევრების ასეთ კარგ ნიმუშებს იძლევა მაიაკოვსკის პირველი (მასწ. მ. ჟორჟოლიანი), მაიაკოვსკის რაიონის ქვ. დიშის (მასწ. ს. ჭუმბურიძე), ქ. ქუთაისის მე-12 (მასწ. ქ. კაკაბაძე), წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის (მასწ. ი. ციციშვილი), თბილისის რაიონის ავჭალის (მასწ. მ. ბერიტაშვილი), გეგეჭკორის რაიონის ბანძის (მასწ. მ. კეკელია) და სხვა საშუალო სკოლები.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად საქართველის სსრ სკოლების ერთ ნაწილს ალგებრის სწავლების საქმეში ჯერ კიდევ გააჩნია სერიოზული დეფექტები, რის გამოც 1942-43 სასწავლო წლის მე-10 კლასების წერიტი გამოცდებზე ალგებრაში ზოგ სკოლაში ვერ მოგვცა დამაკმაყოფილებელი შედეგები:

1. ზოგიერთი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ალგებრული ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს; მაგალითად, თბილისის რაიონის წყნეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (მასწ. თ. ყენია) ვერ გაიგეს განსაკომიდან გადაგზავნილი საგამოცდო ამოცანებისა და მაგალითების პირობები და ამის გამო მოსწავლეებმა წერიტი საგამოცდო საშუალოდ მოსწავლეებს სხვა სახის ამოცანები და მაგალითები მისცა. ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს აგრეთვე ძაიაკოვსკის რაიონის ზეგნის (მასწ. დ. კობახძე), სამტრედიის რაიონის საჯავახოს (მასწ. ს. ჯოჯუა), დუშეთის რაი-



ონის არანისის (მასწ. ხარანაული) საშუალო სკოლის მოსწავლეებსა და მას; საგამოცდო ამოცანები აღნიშნულ სკოლების არცერთ მოსწავლეს არ აქვს ამოხსნილი.

წულუკიძის რაიონის კინჩხას საშუალო სკოლის (მასწ. ვ. ბაღვაძე) მე-10 კლასის 16 მოსწავლიდან მხოლოდ ერთ მოსწავლეს აქვს ასეთივე დამაკმაყოფილებლად ამოხსნილი ამოცანა. ასეთივე მდგომარეობაა ქარელის რაიონის დირბის (მასწ. თ. კოჭუაშვილი), მცხეთის რაიონის გალაუნის (მასწ. გ. ჭანტურია) და სიღნაღის რაიონის ნუკრიანის (მასწ. ა. ჯანგულაშვილი) საშუალო სკოლებში.

2. ზოგი სკოლის მოსწავლის წერით ნამუშევრებში არ არის შოცემული დასაბუთებული ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება იძლევა განტოლების შედგენის საშუალებას. ასე მაგალითად, ამბროლაურის რაიონის ზნაკვის საშუალო სკოლის (მასწ. ლ. კვახაძე) მე-10 კლასის 36 მოსწავლიდან ვერცერთი მოსწავლეს ვერ უთითებს ამოცანის იმ პირობებზე, რომლის მიხედვით შესაძლებელია განტოლების შედგენა. ასევე ითქმის ზემოალვანის (თელავის რ. მასწ. ა. მაჩალიაშვილი), სინათლის (ამბროლაურის რ. მასწ. ვ. კობახიძე), ნორიოს (თბილისის რ. მასწ. გ. ჩომახიძე) და სხვა საშუალო სკოლების შესახებაც.

3. ზოგ სკოლაში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ფხვვების ანალიზს და მიღებული ფხვვების შემოწმებას ამოცანის პირობების მიხედვით. განსაკუთრებით ეს ითქმის ნორიოს, (თბილისის რ.), საკრაულას (მაიაკოვსკის რაიონი), შ/ნამანევის (ამბროლაურის რაიონი), კინჩხას, გალაუნის, ზემო ალვანის და სხვა საშუალო სკოლების შესახებ.

4. მათემატიკის ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორებას ზერეღედ და უყურადღებოდ ეკიდება, რის გამოც წერით ნამუშევრებში მრავალი შეცდომა გაუსწორებლად არის დატოვებული. ასე მაგალითად: ზნაკვის საშუალო სკოლის 36 მოსწავლის მიერ დაშვებულ 92 უხეში ხასიათის შეცდომიდან არცერთი შეცდომა მასწავლებლის მიერ არ არის გასწორებული; სიღნაღის რაიონის დაბა წნორის საშუალო სკოლის (მასწ. ლ. ხარაზაშვილი) მასწავლებლის მიერ 42 ნამუშევარში 252 შეცდომიდან გაუსწორებელია 212 უხეში ტიპის შეცდომა; კინჩხას საშუალო სკოლის 16 მოსწავლის მიერ დაშვებულ 80 უხეში შეცდომიდან მასწავლებლის მიერ გასწორებულია მხოლოდ 8 შეცდომა; დირბის საშუალო სკოლის მასწავლებელს 8 მოსწავლის საგამოცდო წერითი ნამუშევარში არ გაუსწორებია 60 სხვადასხვა ტიპის უხეში შეცდომა; გალაუნის საშუალო სკოლის მასწავლებელი 15 მოსწავ-

ლის ნამუშევრიდან 7 მოსწავლის ნამუშევარს სრულებით არ ასწო-
რებს არ აფასებს და ა. შ.



5. საგამოცდო წერითი ნამუშევრების ანალიზმა აგრეთვე ცხადჰყო, რომ ზოგ სკოლაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმისა და თვალისაზრების მეტად მაღენ პრაქტიკას; ზოგიერთი მასწავლებელი და სკოლის დირექტორი ცდილობს ხელოვნურად გაადიდოს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მაჩვენებლები. ასე მაგალითად, ზნაკვის საშუალო სკოლაში 36 წერითი საგამოცდო ნამუშევრიდან 17 ნამუშევარი შეფასებულ იქნა „ფრიადზე“, მაშინ, როდესაც ამ ნამუშევრებიდან ყველა ნამუშევარი შესრულებულია „ცუდზე“, დირბის საშუალო სკოლაში 8 ნამუშევრიდან „ფრიადი“ შეფასება მიეცა 1-ს, „კარგი“ — 2-ს და საშუალო — 5-ს, ფაქტიურად კი ამათგან 4 აღმოჩნდა „ძლიერ ცუდი“, ხოლო — 4 „ცუდი“; კინჩხას საშუალო სკოლაში აღგებრის 16 წერითი საგამოცდო ნამუშევრიდან 2 — ნამუშევარი შეფასებულ იქნა „ფრიადზე“, 6 — „კარგზე“ — 6 „საშუალოზე“ და 2 — „ცუდზე“, მაშინ, როდესაც ამ ნამუშევრებიდან 10 შესრულებულია „ძლიერ ცუდზე“ და 6 „ცუდზე“; დაბაწნორის საშუალო სკოლაში მასწავლებელი 28 ნამუშევარს აღლევს „ფრიადს“, „კარგს“ და საშუალო შეფასებას, ფაქტიურად კი 22 ნამუშევარი უნდა შეფასდეს „ძლიერ ცუდზე“ ხოლო 6 „ცუდზე“; გალავნის საშუალო სკოლაში 15 მოსწავლის საგამოცდო წერითი ნამუშევრიდან 5 — ნამუშევარი შეფასებულია „ფრიადზე“ და „კარგზე“, სინამდვილეში კი 3 ნამუშევარი აღმოჩნდა „საშუალო“ ნიშანზე შესრულებული, ხოლო 3 კი „ცუდზე“.

მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ლიბერალური შეფასების მსგავს მაგალითებს იძლევიან აგრეთვე ნორიოს (თბილისის რ.), ნუკრიანის (სიღნაღის რ. მასწ. ნ. ჯანგულაშვილი), შ/ნამანევისა და სინათლის (ამბროლაურის რ. მასწ. დ. ლომიაძე, კობახიძე), ზემო ალვანის (თელავის რ. მასწ. ა. მაჩალიშვილი) და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლები.

6. ზოგ სკოლაში გამოცდები ცუდად იყო ორგანიზებული, რის გამოც ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა მიერ წერითი ნამუშევრების მასიურად ერთმანეთისაგან გადაწერას. ასე მაგალითად, ზნაკვის საშუალო სკოლის 36 მოსწავლის ნამუშევრიდან მხოლოდ ორი მოსწავლია ნამუშევარია დამოუკიდებლად შესრულებული. ასევე ითქმის დირბის, კინჩხას, დაბაწნორის, გალავნისა და სხვა საშუალო სკოლების შესახებ. დასახელებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მათემატიკას ზოგიერთი მასწავლებელი სუსტად მუშაობს თავისთავზე, არ

ინცობს მათემატიკის სწავლების შესახებ არსებულ მეთოდურ ლიტერატურას, სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგებნი კონკრეტულად არ ეხმარებიან მათემატიკის მასწავლებლებს პედაგოგიური თეორიისა და მოწინავეთა გამოცდილების გაზიარების საქმეში, ხოლო განათლების განყოფილებანი არ უწყევენ საკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს სკოლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასების ნიშნების ხელოვნურად გაზარდისა, მათემატიკის სწავლებაზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით:

ქარელის რაიონის დირბის საშუალო სკოლის დირექტორს ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე კურტანიძეს და წულუკიძის რაიონის კინჩხას საშუალო სკოლის დირექტორს ავერიონ გიორგის-ძე ქაროსანიძეს.

2. საგამოცდო ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნის უცოდინარობისათვის, მოსწავლეთა მიერ დაშვებული მრავალი უხეში შეცდომის გაუსწორებლობისა და საშუალო სკოლის გამოსამეგები მე-10 კლასების მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ლიბერალურად შეფასებისათვის ჩამოყენებულ იქნან 1943 წლის 20 აგვისტოდან არასრულ საშუალო სკოლის მასწავლებლებად:

ა) თბილისის რაიონის წყნეთის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი თამარ ყენია;

ბ) წულუკიძის რაიონის კინჩხას საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვ. ბალაგაძე;

გ) ამბროლაურის რაიონის ზნაკვის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ლ. კვახაძე და დ) ქარელის რაიონის დირბის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი თ. კოჭუაშვილი.

3. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა წერითი ნამუშევრების ზერელედ და უყურადღებოდ გასწორებისათვის და წერითი ნამუშევრების გადამეტებულად შეფასებისათვის გამოეცხადოს საყვედური: ა) მცხეთის რაიონის გალაგნის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ გ. ჭანტურიას, ბ) სიღნაღის რაიონის ნუკრიანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ა. ჯანგულაშვილს, გ) თბილისის რაიონის ნორიოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ გ. ჩომახიძეს, დ) საპტრედიის რაიონის სა-



ჯაფხოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ს. ჯოჯუას (და ე) სიღნაღის რაიონის დაბაწნორის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ლ. ხარაზაშვილს.

4. მათემატიკის მასწავლებლებმა სისტემატურად აიმაღლონ პედაგოგიური კვალიფიკაცია, შეისწავლონ მათემატიკის სწავლების შესახებ არსებული მეთოდური ლიტერატურა და ყოველდღიურ მუშაობაში ზუსტად იხელმძღვანელონ მათემატიკის სწავლების შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის მიერ 1939-42 წლებში მიცემული დირექტივებით და კოლეგიის დადგენილებებით.

5. თბილისის, წულუკიძის, ამბროლაურისა და ქარელის განათლების განყოფილებათა გამგებმა სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ წყნეთის, კინჩხას, ზნაკვისა და დირბის საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებლების თ. ყენიას, ვ. ბალავაძეს, ლ. კვახაძესა და თ. კოჭუაშვილის მუშაობაზე და იმ შემთხვევაში, თუ ვერ უზრუნველყოფენ მათემატიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას არასრულ საშუალო სკოლებში, მასწავლებლობიდან მათი მოღიანად მოხსნის საკითხი დასვან განსახკომის წინაშე.

6. ეს ბრძანება განხილულ იქნას საქართველოს სსრ რესპუბლიკის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და მის საფუძველზე გატარდეს შესაბამისი ღონისძიებანი.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განსახკომის 1948 წ. 27 ივლისი კოლეგიის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1005

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1948 წლის 14 აპრილი

გამოკვლევით დადასტურდა, რომ ხულოსა და სოხუმის პედაგოგიურ სასწავლებლებში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება პედაგოგიური პრაქტიკის სწორად ორგანიზებას:

ა) წინასწარ არ არის აგეგმილი პრაქტიკა პედაგოგიკაში და ცალკე სასწავლო დისციპლინებში (ხულოს პედსასწავლებლის დირექტორი ნ. ნიჟარაძე, სოხუმის ქართული პედსასწავლებლის დირექტორი აკ. ქარჩავა), მეთოდისტებს არა აქვთ შედგენილი პროგრამის საფუძველზე პრაქტიკის ჩატარების კონკრეტული გეგმა, წინასწარ არ არის შერჩეული საცდელი გაკვეთილების თემები, სრულე-



ბით არ ექცევა ყურადღება გაკვეთილების ისეთი სახეების შერჩევას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული საგნის სწავლებისას ან სწავლის საკირო მთავარი მეთოდური ხერხების ჩვენებას;

ბ) დაკვირვება არ წარმოადგენს პედპრაქტიკის აქტიურ ფორმას. დაკვირვება სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ტარდება მოუშაღებლად, უხარისხოდ. პრაქტიკანტებს ასწრებენ გაკვეთილებზე სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ისე, რომ ისინი წინასწარ არ არიან გაცნობილი სასკოლო მუშაობის საერთო ორგანიზაციას და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დაყენების საქმის ცალკე მხარეებს. დაკვირვების სწორად ჩატარების მიზნით არც ხულოს და არც სოხუმის ქართულ პედსასწავლებლებში არ აღგენენ დაკვირვებების სქემებს და მას წინასწარ არ აძლევენ პრაქტიკანტებს;

გ) არ ექცევა ყურადღება საცდელი გაკვეთილების კონსპექტების სწორად შედგენას. მოწონებულია და დამტკიცებული საგნის მასწავლებლებმა და პედსასწავლებლების დირექტორის მიერ, ქართულ ენაში ხულოს პედსასწავლებლის (მასწ. ნ. ნიჭარაძე) მოსწ. ჯ. მახარაძის, ხ. აბულაძის, და სხვ., სოხუმის პედსასწავლებლის (მასწ. მიხ. ჩერქეზია) მოსწ. თ. დავითულიანის, თ. ხორაევას, დარსანიას და სხვ. მეთოდური თვალსაზრისით არასწორად შედგენილი კონსპექტები — უცნობი ასოს გაცნობისათვის დადგენილი მეთოდური თანმიმდევრობა დარღვეულია და უცნობ ასოს გაცნობისათვის მოტანილი სიტყვები სრულიად შეუსაბამო და სხვ.

ამას გარდა საცდელ გაკვეთილების კონსპექტში და მათი გარჩევის ოქმებში დაშვებულია უხეშობები შეცდომები. მაგალითად მ. ქედელიძის მიერ გადაცემულ გაკვეთილის გარჩევის ოქმში (№ 1, 1942 წ. 28 ოქტომბერი), რომელიც შეიცავს 33 სტრიქონს, დაშვებულია 46 სხვადასხვა სახის შეცდომა (ხულოს პედსასწავლებელი), პ. კვაკვალიას მიერ გადაცემულ გაკვეთილის გარჩევის ოქმში (№ 13, 1943 ს. 5 მარტი), რომელიც 19 სტრიქონს შეიცავს, დაშვებულია 39 სხვადასხვა სახის შეცდომა (სოხუმის პედსასწავლებელი) და სხვ.

დ) ხულოსა და სოხუმის პედსასწავლებელში არ ექცევა ყურადღება პრაქტიკაში ჩატარებულ მუშაობის აღრიცხვას; არ არის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე დაკვირვებათა ჟურნალი, საცდელი გაკვეთილების შეფასების უწყისი და შეჯამებითი უწყისი პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ე) არადაამკმაყოფილებლად არის დაყენებული კავშირი დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა და მეთოდისტთა შორის, — საცდელი გაკვეთილების თემების შერჩევა არ ხდება დაწყებითი სკოლის

მასწავლებელთა მკვიდრო კავშირში, არ არის გამოყენებული დაწესებულნი სკოლის სტაბილური პროგრამა და სხვ.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს პედსასწავლებლის დირექტორებს:

ა) უზრუნველყონ პედაგოგიური პრაქტიკის (დაკვირვება—II კლ. საცდელი გაკვეთილები—III კლ.) წინასწარ სწორად აგეგმა და ჩატარება, რისთვისაც გადასინჯონ მეთოდისტების მიერ შედგენილი გეგმები, დაკვირვების სწორად ჩატარებისათვის უზრუნველყონ დაკვირვებაზე სქემების წინასწარ შედგენა და გადაცემა თითოეულ პრაქტიკანტისათვის;

ბ) გულდასმით იქნეს გასინჯული საცდელი გაკვეთილის კონსპექტი და არ იქნეს დაშვებული არასწორად შედგენილი კონსპექტებით საცდელი გაკვეთილების გადაცემა;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს საცდელი გაკვეთილების სახეების შერჩევისას დაწყებითი სკოლის მასწავლებლებთან მკვიდრო კავშირის დაჭერა და პედაგოგიური პრაქტიკის გეგმის მათთვის წინასწარ გაცნობა.

2. დაევალოს სახალხო განათლების გამგეებს შეტი დახმარება და კონტროლი გაუწიონ პედაგოგიურ სასწავლებლებს პედაგოგიური პრაქტიკის სწორად ჩატარების საქმეში.

3. წინადადება მიეცეს ხულოს პედსასწავლებლის დირექტორს ნ. ნიჟარაძეს და სოხუმის ქართული პედსასწავლებლის დირექტორს ა. ქარჩავას, დაუყოვნებლივ აღკვეთონ პედაგოგიური პრაქტიკის უგეგმოდ და უხარისხოდ ჩატარება.

4. განემარტოს პედსასწავლებლის დირექტორებს, რომ პედპრაქტიკის სწორად ჩატარებისათვის პირადად არიან პასუხისმგებელნი და მათ უშუალოდ ევალებათ უზრუნველყონ საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებული პედაგოგიური პრაქტიკის პროგრამის ცხოვრებაში განუხრებლად გატარება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო

კომისიის მოადგილე ბ. კიწირია

პ/მგებელი რედაქტორი მ. ბურჭულაძე